




## კონკურსი:

# შემოქმედებითი ევროპის ბენეფიციარების ხელშეწყობა

## კონკურსის პირობები

1. გამარჯვებული პროექტი შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ კონკურსის გზით, ხოლო დაფინანსება გაიცემა უნაადო ანგარიშსწორების სახით მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პროექტებზე;
2. **პრიორიტეტი მიენიჭება** თანადაფინანსების მქონე პროექტებს და იმ პროექტებს რომლებსაც, მიმდინარე წელს, არ აქვთ მიღებული დაფინანსება განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან;
3. გამარჯვებული პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა ჩაირიცხება ორ ეტაპად: 90%-მდე ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, *წინასწარ წარმოდგენილი გასაწევი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე*, ხოლო დარჩენილი თანხა ჩაირიცხება საბოლოო ანგარიშის (ფინანსური და შინაარსობრივი) წარმოდგენის და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის შემდეგ, რომლის წარმოდგენის თარიღი განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხელშეკრულების საფუძველზე;
4. პროექტის ფარგლებში, ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯს სსიპ "შემოქმედებითი საქართველო" არ აანაზღაურებს;



5. სსიპ „შემოქმედებით საქართველოს“ და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს უფლება აქვთ შეზღუდვის გარეშე გამოიყენონ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ციფრული ან და ნაბეჭდი ასლი, ნებისმიერი სახის აქტივობასა და სივრცეში;

### შერჩევის კრიტერიუმები

სსიპ-ი „შემოქმედებითი საქართველო“ წარმოდგენილ აპლიკაციებს მხოლოდ ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს. საკონკურსო აპლიკაციას განიხილავს და აფასებს სპეციალურად მოწვეული საკონკურსო კომისია;

#	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის მდგრადობა და შედეგის ეფექტიანობა	30 ქულა
2	ორგანიზაციის უნარი - პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები.	25 ქულა
3	ბიუჯეტი - ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან.	25 ქულა
4	პროექტის მარკეტინგი - აუდიტორიის განვითარება, კომუნიკაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა.	20 ქულა
<b>სულ</b>		<b>100 ქულა</b>

### როგორ წარვადგინოთ განაცხადი

- კონკურსში მონაწილე ორგანიზაციებმა მოთხოვნილი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ელექტრონული



სახით, პროექტთან დაკავშირებული ყველა შესავსები ფორმა იხილეთ შემოქმედებითი საქართველოს ვებ-გვერდზე.

- საპროექტო განაცხადის ელექტრონული ფორმა და სხვა სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე - [competition@creativegeorgia.ge](mailto:competition@creativegeorgia.ge) 2019 წლის კონკურსის ვადის ამოწურვამდე, თბილისის დროით 18:00 საათამდე. წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოთ: **CEBP-2019-1** (თუ ელექტრონულად წარმოსადგენი დოკუმენტების მოცულობა აღემატება 20MB-ს, გთხოვთ, შეამციროთ ფაილების ზომა);
- საპროექტო განაცხადი მიღებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოგზავნილ საპროექტო განაცხადზე მიიღებთ დასტურს. თუ დასტური არ მიიღეთ ერთ სამუშაო დღეში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ელ-ფოსტაზე [ninagadilia@gmail.com](mailto:ninagadilia@gmail.com)
- რეკომენდირებულია, განაცხადები წარმოადგინოთ საკონკურსო ვადის ამოწურვამდე მინიმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, რათა, ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, დროულად აღმოიფხვრას პრობლემა.

## კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი ყველა სავალდებულო დოკუმენტის ჩამონათვალი

1. პროექტის განაცხადი შევსებული თანდართულ PDF ფორმატში;
2. ევროკავშირის პროგრამის “შემოქმედებითი ევროპა” დაფინანსების მიღების ოფიციალური დასტურის ასლი;
3. პარტნიორთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი
4. დანართი #1 - დეტალური ბიუჯეტი (ბიუჯეტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი PDF ფორმატში;
5. დანართი #2 – პროექტის განმახორციელებელი გუნდის ძირითადი წევრებისა და ხელოვანების რეზიუმეები/CV-ები ან პროფესიული ბიოგრაფიები/პორტფოლიოები;



საერთაშორისო დემოკრატიის ცენტრი

კონკურსის ფარგლებში არსებული ყველა სავალდებულო დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, გარდა ევროკავშირის პროგრამის "შემოქმედებითი ევროპა" დაფინანსების მიღების ოფიციალური დასტურის ასლისა და პარტნიორთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი

დაგვიანებით წარმოდგენილი ან/და არასრულად შევსებული განაცხადის ფორმები ვერ მიიღებენ კონკურსში მონაწილეობას.

ამ კონკურსში პროექტის წარმოდგენით მონაწილე ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ წარმოდგენილი პროექტი მხოლოდ მათი ნამუშევარია. კონკურსის დროს მიღებულ დოკუმენტებს სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“ მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან პროექტის ავტორების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

## საკონტაქტო ინფორმაცია

კონკურსთან დაკავშირებული კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტით [ninagadilia@gmail.com](mailto:ninagadilia@gmail.com)